

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საქართველოს სპორტცენტრების ფედერაცია

ს ს ც ე ფ

ს/კ 202059477



G N D S F

GEORGIAN NATIONAL DANCESPORT FEDERATION

ს ს ც ე ფ

წესდება

(ახალი რედაქცია)

დამტკიცებულია
საქართველოს სპორტცენტრების
ეროვნული ფედერაციის
საერთო კრებაზე (ყრილობაზე)
2014 წლის 09 თებერვალი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
“საქართველოს სპორტცენტრების ეროვნული ფედერაცია”

წესდება
(ახალი რედაქცია)

სარჩევი

წესდებაში გამოყენებული შემოკლებების და ტერმინების განმარტებები

თავი I. ზოგადი დებულებები

- მუხლი 1. სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და ხანგრძლივობა
- მუხლი 2. მიზნები და საქმიანობა
- მუხლი 3. ათლეტი (მოცეკვავე)

თავი II. წევრობა

- მუხლი 4. ფედერაციაში გაწევრიანების წესი
- მუხლი 5. წევრთა უფლებები
- მუხლი 6. წევრთა ვალდებულებები
- მუხლი 7. წევრობის შეჩერება
- მუხლი 8. წევრის სტატუსის ჩამორთმევა (გარიცხვა)
- მუხლი 9. წევრობიდან გასვლა
- მუხლი 10. საპატიო პრეზიდენტი, საპატიო წევრი

თავი III. ფედერაციის მმართველი ორგანოები

- მუხლი 11. ფედერაციის მმართველი ორგანოები

ა. საერთო კრება (ყრილობა)

- მუხლი 12. ფედერაციის საერთო კრება (ყრილობა)
- მუხლი 13. დელეგატები და ხმები
- მუხლი 14. უფლებამოსილებათა ფარგლები
- მუხლი 15. საერთო კრების (ყრილობის) ქვორუმი
- მუხლი 16. საერთო კრების (ყრილობის) გადაწყვეტილებები
- მუხლი 17. არჩევნები
- მუხლი 18. რიგითი საერთო კრება (ყრილობა)
- მუხლი 19. რიგგარეშე საერთო კრება (ყრილობა)
- მუხლი 20. წესდებაში ცვლილებები
- მუხლი 21. ოქმი
- მუხლი 22. გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი

ბ. გამგეობა (პრეზიდიუმი)

- მუხლი 23. გამგეობა (პრეზიდიუმი)

მუხლი 24. სხდომები

მუხლი 25. ფედერაციის გამგეობის (პრეზიდიუმის) უფლებამოსილება

მუხლი 26. გადაწყვეტილებები

გ. პრეზიდენტი

მუხლი 27. პრეზიდენტი

მუხლი 28. პრეზიდენტობის კანდიდატები

მუხლი 29. წარმომადგენლობა და ხელმოწერა

თავი IV. დავები, დოპინგი

მუხლი 30. დავები

მუხლი 31. დოპინგი

თავი V. ფინანსები

მუხლი 32. ფინანსები

მუხლი 33. შემოსავლები

მუხლი 34. ხარჯები

მუხლი 35. დამოუკიდებელი აუდიტორები, ფედერაციის სარევიზიო კომისია

მუხლი 36. საწევრო შენატანები

თავი VI. შეჯიბრებები და უფლებები

მუხლი 37. შეჯიბრებები

მუხლი 38. უფლებები

თავი VII. საბოლოო დებულებები

მუხლი 39. ფედერაციი ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

მუხლი 40. დასკვნითი დებულებები

წესდებაში გამოყენებული შემოკლებების და ტერმინების განმარტებები

წინამდებარე წესდების დებულებების ინტერპრეტაციისას გამოიყენება შემდეგი განმარტებები:

1. "სსცეფ" ან "ფედერაცია" _ საქართველოს სპორტცეკვების ეროვნული ფედერაცია;
2. "WDSF" _ სპორტცეკვების მსოფლიო ფედერაცია (World DanceSport Federation);
3. "რეგიონალური ფედერაცია" _ სსცეფ-ს ქვემდებარე სამხარეო ორგანიზაცია;
4. "ყრილობა" _ დელეგატთა საერთო კრება, სსცეფ-ს უმაღლესი ორგანო;

5. **"გამგეობა" (პრეზიდიუმი)** – სსცეფ-ს აღმასრულებელი ორგანო, რომელსაც ირჩევს სსცეფ-ს საერთო კრება (ყრილობა) და რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს;
6. **"შეჯიბრის წესები"** – სსცეფ-სა და WDSF-ის მიერ მიღებული შეჯიბრის ჩატარების წესები, სხვადასხვა ასაკობრივ ქვე-ჯგუფებში და კლასებში;
7. **"ოფიციალური პირები"** – ნებისმიერი პირი, ათლეტის (მოცეკვავის) გარდა, რომელიც ახორციელებს სპორტულ ცეკვებთან დაკავშირებულ საქმიანობას სსცეფ-ში, WDSF-ში, სხვა ასოციაციებში, ლიგებში და კლუბებში - კერძოდ: მსაჯები, მწვრთნელები, ოფიციალური დამსწრეები, სამედიცინო, ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი;
8. **"ათლეტი"** – მოცეკვავე, რომელიც დარეგისტრირებულია სსცეფ-ს მონაცემთა საერთო ბაზაში;
9. **"წევრი"** – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი და რეგისტრირებული ორგანიზაციები, გაერთიანებები, სპორტული კლუბები და კავშირები, რომლებიც მიღებული არიან სსცეფ-ს წევრად;

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და ხანგრძლივობა

1. სსცეფ-ს სრული სახელწოდება და აბრევიატურაა:

ქართულ ენაზე - **SaqarTvel os Sport Cekvebis Erovnul i Federacia" (SSCEF)**

ინგლისურ ენაზე - **«GEORGIAN NATIONAL DANCESPORT FEDERATION» (GNDSF)**

2. საქართველოს სპორტცეკვების ეროვნული ფედერაცია ს/კ 202059477 (შემდგომ ტექსტში - ფედერაცია - შემოკლებით კი - „სსცეფ“) წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 30-ე მუხლის საფუძველზე შექმნილ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელიც რეგისტრირებულია ქ. თბლისის დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 3 ივლისს, #2/9 –20 დადგენილებით;

3. ფედერაცია შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

4. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სსცეფ არის სპორტის შესაბამისი სახეობის – სპორტული ცეკვების ყველა მიმდინარეობის ხელმძღვანელი ერთადერთი ორგანო (ორგანიზაცია) საქართველოში, რომელიც დამოუკიდებლად და სრულად წარმართავს საქმიანობას და რომლის იურისდიქციაც ვრცელდება ქვეყნის (საერთაშორისო სამართლის ნორმით აღიარებულ ფარგლებში) მთელს ტერიტორიაზე. სსცეფ არის ერთადერთი ხელმძღვანელი ორგანო (ორგანიზაცია), რომელიც წარმოადგენს სპორტულ ცეკვებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;

5. სსცეფ აღიარებულია საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ;

6. სსცეფ არის (WDSF – World DanceSport Federation - <http://www.worlddancesport.org/>) სპორტცეკვების მსოფლიო ფედერაციის წევრი 1992 წლიდან. სსცეფ ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს WDSF-ის მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში, ჩემპიონატებში და პირველობებში და გადაიხადოს საწევრო შენატანი.

7. სსცეფ საკუთარ საქმიანობას წარმართავს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, საკუთარი წესდების და WDSF-ის წესდების შესაბამისად; თუ სსცეფ-ს წესდება ეწინააღმდეგება WDSF-ის წესდებას ან სხვა წესებს, მაშინ მოქმედებს სსცეფ-ს წესდება, ხოლო თუ ეს უკანასკნელი წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კანონმდებლობასთან - მაშინ მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობა;

8. სსცეფ 1990 წლიდან არის საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სრულუფლებიანი წევრი. სსცეფ ცნობს ოლიმპიური მოძრაობის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და თავის საქმიანობას წარმართავს მასთან მჭიდრო ურთიერთკავშირში;

9. სსცეფ რეგისტრაციის მომენტიდან წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ქონება, საანგარიშსწორებო და სავალუტო საბანკო ანგარიშები საქართველოს საბანკო დაწესებულებებში;

10. სსცეფ-ს იურიდიული მისამართია:
ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. #182,
საფოსტო ინდექსი 0119;

ტელეფონი: +995-322-35-52-75;
ელ-ფოსტა: gndsf@hotmail.com
ვებ-გვერდი: www.gndsf.ge

11. ფედერაცია სარგებლობს სსცეფ-ს ბეჭდით და ასევე გააჩნია საკუთარი ტიტულიანი ბლანკი, შტამპი, ლოგო და დროშა, რომელიც გამოიყენება მარკეტინგული და სხვა მიზნებისათვის;

12. ფედერაცია უფლებამოსილია თავისი სახელით დადოს გარიგებები, შეიძინოს ქონებრივი, არაქონებრივი უფლებები და იკისროს მოვალეობები. იყოს მოსარჩერლე ან მოპასუხე სასამართლოში ან არბიტრაჟში;

13. ფედერაცია თავისი წევრის (წევრების), ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისგან დამოუკიდებელია. ფედერაციის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. ფედერაციის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს ფედერაცია საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირების) ვალდებულებებისათვის.

მუხლი 2. მიზნები და საქმიანობა

სსცეფ-ს მიზნებია კანონით დადგენილი წესით:

1. საქართველოში სპორტული ცეკვების ყველა მიმართულების (სამოყვარულო სპორტი, სოციალური ცეკვები, ინდივიდუალური (სოლო) შემსრულებლები, პროფესიონალები და სხვა) მუდმივი განვითარება სსცეფ-ს ტერიტორიაზე, პოპულარიზაცია და ხელშეწყობა - ცეკვების გამაერთიანებელი, საგანმანათლებლო, კულტურული და ჰუმანური ფასეულობების ჭრილში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდული და განვითარების პროგრამების საშუალებით;

2. სპორტულ ცეკვებში ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ყველა რანგისა და ფორმის შეჯიბრის ორგანიზება, სპორტული ცეკვების სხვადასხვა მიმდინარეობების მიხედვით, რომელიც არ არის შეზღუდული მხოლოდ ამ პუნქტში ჩამოთვლილი ცეკვის სახეობებით და მიმდინარეობებით, კერძოდ კი: ევროპული (Standard) ცეკვების პროგრამა, ლათინო-ამერიკული (Latin-American) ცეკვების პროგრამა, პრო-ემი - (პროფესიონალი-მოყვარული - Pro-Am ან მასწავლებელი-სტუდენტი - Teacher-Student), ინდივიდუალური (სოლო - Solo) შემსრულებლები - ევროპული და ლათინო-ამერიკული ცეკვები, ახალი ვოგი (New Vogue), ამერიკული სტილი (American Style), ფრისტაილი (Freestyle), როკ'ნ'როლი (Rock 'n' Roll), მოდერნი და ლათინო-ამერიკული ცეკვების სექსეი (Old Time and Modern and Latin Sequence), შოუ ცეკვების პროგრამა (Show Dance), არგენტინული ტანგო (Argentine Tango), კარიბული მიქსი (Caribbean Mix) - სალსა, მერენგა, ბაჩატა და სხვა (Salsa, Merengue, Bachata), ბუგი-ვუგი (Boogie-Woogie), ჰიპ-ჰოპი (Hip-Hop), ფლამენკო (Flamenco), აღმოსავლური ცეკვები (Oriental Dances), ნაციონალური - ქართული ცეკვები (National – Georgian Folk) და სხვა.

3. საქართველოს ნაკრები გუნდების ფორმირება და მომზადება; სპორტის ოსტატთა მომზადების მაღალკვალიფიციური სისტემის უზრუნველყოფა, მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენთა მომზადება და ყველა სპორტსმენის ოსტატობის დონის ამაღლება - საერთაშორისო და ადგილობრივი სემინარების, მასტერ კლასების და გამოცდების ჩატარების გზით. სპორტსმენთა წარმატებული გამოსვლის უზრუნველყოფა სპორტული ცეკვების მსოფლიო თამაშებზე, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე, თასებზე, რეიტინგულ შეჯიბრებებზე და მომავალში ოლიმპიურ თამაშებზე;

4. საერთაშორისო რეიტინგული შეჯიბრებების და ჩემპიონატების მასპინძლობა; მათი უმაღლეს დონეზე ჩატარების უზრუნველყოფა - ფედერაციის ყველა წევრის აბსოლუტური ჩართულობით;

5. სსცეფ შეიძლება ეწეოდეს არასამეწარმეო სახის საქმიანობას, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება ფედერაციის მიზნების განხორციელებას;

6. სამეწარმეო ხასიათის საქმიანობას ფედერაციისთვის შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ დამხმარე ხასიათი და ამგვარი საქმიანობით მიღებული მთლიანი შემოსავალი უნდა მოხმარდეს მხოლოდ ფედერაციის მიზნების მიღწევას;

მუხლი 3. ათლეტი (მოცეკვავე)

1. ათლეტის სტატუსი და მისი ტრანსფერის პირობები რეგულირდება სსცეფ-ს გამგეობის (პრეზიდიუმის) მიერ, სსცეფ-ს და WDSF-ის ათლეტთა სტატუსისა და ტრანსფერის მოქმედი დებულებების თანახმად;

2. ათლეტები და მოცეკვავე წყვილები რეგისტრირდებიან სსცეფ-ს ათლეტთა მონაცემთა საერთო ბაზაში დადგენილი წესებისა და დებულებების შესაბამისად;

თავი II. წევრობა

მუხლი 4. ფედერაციაში გაწევრიანების წესი

1. სსცეფ-ს გამგეობას (პრეზიდიუმს) შეუძლია წევრის მიღება ან წევრობის შეჩერება, ხოლო სსცეფ-ს საერთო კრებას (ყრილობას) შეუძლია წევრის გარიცხვა;

2. სსცეფ-ს წევრები არიან:

1. რეგიონალური ფედერაციები;
2. სპორტული ცენტრების კლუბები;
3. ფედერაციასთან არსებული ასოციაციები, გაერთიანებები და კავშირები;
4. ინდივიდუალური წევრები;

3. სსცეფ-ში გაწევრიანების მსურველმა სუბიექტმა შესაბამისი წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს სსცეფ-ს გამგეობას (პრეზიდიუმს);

4. ახალი წევრი მიიღებს წევრობის უფლებებსა და მოვალეობებს სსცეფ-ში გაწევრიანების-თანავე. მის დელეგატებს გააჩნიათ ხმის მიცემის უფლება და შეუძლიათ არჩეულ იყვნენ ნებისმიერ თანამდებობაზე - დადგენილი წესით;

მუხლი 5. წევრთა უფლებები

სსცეფ-ს წევრებს გააჩნიათ შემდეგი უფლებები:

1. წინასწარ გაეცნონ ყრილობის დღის წესრიგს, მიიღონ ყრილობაზე დასწრების შეტყობინება განსაზღვრულ ვადაში, მონაწილეობა მიიღონ ყრილობის მუშაობაში და ისარგებლონ ხმის მიცემის უფლებით;
2. შეიმუშავონ წინადადებები ყრილობის დღის წესრიგში ჩასართავად;
3. დაასახელონ კანდიდატები და არჩეულ იყვნენ სსცეფ-ს ყველა ორგანოში;
4. გაეცნონ ინფორმაციას სსცეფ-ს საქმიანობის შესახებ, სსცეფ-ს ოფიციალური პირების მეშვეობით;
5. მიიღონ მონაწილეობა სსცეფ-ს ეგიდით გამართულ შეჯიბრებებში და სხვა ოფიციალურ ღონისძიებებში;
6. ისარგებლონ სსცეფ-ს წესდებით, დებულებებით, რეგულაციებით, ინსტრუქციებითა და გადაწყვეტილებებით მინიჭებული ყველა სხვა უფლებით;

მუხლი 6. წევრთა ვალდებულებები

სსცეფ-ს თითოეული წევრი ვალდებულია:

1. მიიღოს მონაწილეობა სსცეფ-ს ეგიდით გამართულ სპორტცენტრების შეჯიბრებებში;
2. გადაიხადოს წლიური საწევრო შესატანი;

3. დაიცვას სსცეფ-ს და WDSF-ის წესდებები, დებულებები, რეგულაციები, შეჯიბრის წესები და ასევე უზრუნველყოს მათი დაცვა მისი წევრების მიერ;
4. აცნობოს სსცეფ-ს თავისი წესდების, დებულებების, ოფიციალურ პირთა სიის, ხელმოწერისა და სამართლებრივი ხელშეკრულებების გაფორმების უფლებამოსილების მქონე პირების შემადგენლობაში ნებისმიერი ცვლილების შესახებ;
5. დაიცვას ლოიალობის, პატიოსნების და სპორტული ეთიკის ნორმები და ფედერაციის მიერ მიღებული ყველა დებულება და ნორმატიული აქტი;
6. შეასრულოს წინამდებარე წესდებიდან და სსცეფ-ს სხვა დებულებებიდან, ინსტრუქციებიდან და გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ვალდებულებები;

მუხლი 7. წევრობის შეჩერება

1. წევრობის შეჩერებაზე უფლებამოსილება გააჩნია სსცეფ-ს გამგეობას (პრეზიდიუმს); მას შეუძლია დაუყოვნებლივ შეუჩეროს წევრობა იმ წევრს, რომელიც სერიოზულად და გამუდმებით არღვევს თავის ვალდებულებებს;
2. წევრობის შეჩერება იწვევს წევრის სტატუსიდან გამომდინარე უფლებების დაკარგვას. გამგეობამ შეიძლება სხვა დამატებითი ფინანსური საჩუქრებიც დააკისროს მას;
3. წევრებს, რომლებიც 1 წლის განმავლობაში არ მონაწილეობენ სსცეფ-ს ეგიდით ჩატარებულ არცერთ შეჯიბრში და ღონისძიებაში (ჩემპიონატებში, თასის გათამაშებაში და რეიტინგულ შეჯიბრებებში), მათ დროებით შეუჩერდებათ ხმის უფლება, მანამ, სანამ ისინი არ შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს ამასთან დაკავშირებით;

მუხლი 8. წევრის სტატუსის ჩამორთმევა (გარიცხვა)

1. სსცეფ-ს საერთო კრებას (ყრილობას) შეუძლია გარიცხოს წევრი:
 - 1.1. თუ ის დაარღვევს სსცეფ-სადმი ნაკისრ ფინანსურ ვალდებულებებს;
 - 1.2. თუ ის სერიოზულად დაარღვევს სსცეფ-ს და/ან WDSF-ის წესდებებს, დებულებებს, რეგულაციებს, დირექტივებს და გადაწყვეტილებებს;
2. ხმის უფლების მქონე წევრების 2/3-ის დასწრება საერთო კრებაზე (ყრილობაზე) აუცილებელია გარიცხვის ძალაში შესვლისთვის;
3. წევრის გარიცხვის გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული საერთო კრებაზე (ყრილობაზე) დამსწრე დელეგატების ხმების 3/4-ით.

მუხლი 9. წევრობიდან გასვლა

წევრს შეუძლია გავიდეს სსცეფ-ს შემადგენლობიდან ნებისმიერ დროს, რის შესახებაც მან რეგისტრირებული წერილით (ან ელ-ფოსტით) უნდა აცნობოს გამგეობას (პრეზიდიუმს) 1 (ერთი) თვით ადრე;

მუხლი 10. საპატიო პრეზიდენტი, საპატიო წევრი

1. სსცეფ-ს საერთო კრებას (ყრილობას) შეუძლია მიანიჭოს საპატიო პრეზიდენტის და საპატიო წევრის წოდება ნებისმიერ პირს სპორტულ (სამეჯლისო) ცეკვებში საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მიღწეული დამსახურებისათვის;
2. მათ წარადგენს სსცეფ-ს გამგეობა (პრეზიდიუმი);
3. საპატიო პრეზიდენტს და საპატიო წევრს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ყრილობის მუშაობაში. მათ შეუძლიათ ჩაერთონ დებატებში; თითოეულ მათგანს გააჩნია 1 (ერთი) ხმის უფლება.

თავი III. ფედერაციის მმართველი ორგანოები

მუხლი 11. ფედერაციის მმართველი ორგანოები

სსცეფ-ს მმართველი ორგანოებია:

1. საერთო კრება (ყრილობა), რომელიც არის უმაღლესი და იურიდიული ორგანო;
2. გამგეობა (პრეზიდიუმი) - რომელიც შედგება 11 წევრისგან - ფედერაციის მმართველი, აღმასრულებელი და ადმინისტრაციული ორგანო, რომელსაც ირჩევს ფედერაციის საერთო კრება (ყრილობა);
3. სსცეფ თავის საქმეებს აგვარებს დამოუკიდებლად, მესამე მხარის ზეგავლენის გარეშე. სსცეფ-ს ორგანოები უნდა აირჩეს ან დაინიშნოს პროცედურების შესაბამისად, რომელიც დამოუკიდებელია პოლიტიკური ჩარევისა თუ ზეგავლენისგან.

ა. საერთო კრება (ყრილობა)

მუხლი 12. ფედერაციის საერთო კრება (ყრილობა)

1. ფედერაციის წევრთა საერთო კრება (ყრილობა) წარმოადგენს სსცეფ-ს უმაღლეს ორგანოს. მხოლოდ სათანადოდ მოწვეული საერთო კრება (ყრილობა) არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილებები;
2. ფედერაციის საერთო კრება (ყრილობა) შეიძლება იყოს რიგითი და რიგგარეშე;
3. სსცეფ-ს პრეზიდენტი ან ყრილობის მიერ არჩეული გამგეობის (პრეზიდიუმის) ერთ-ერთი წევრი თავმჯდომარეობს ყრილობას, ყრილობის რეგლამენტის შესაბამისად;
4. საერთო კრებას (ყრილობას) შეუძლია დანიშნოს დამკვირვებლები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ყრილობის მუშაობაში. მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ დებატებში, მაგრამ არა აქვთ ხმის მიცემის უფლება.

მუხლი 13. დელეგატები და ხმები

1. ფედერაციის საერთო კრებაზე (ყრილობაზე) სსცეფ-ს წევრები წარმოდგენილი არიან დელეგატების სტატუსით და თითოეულ დელეგატს აქვს 1 (ერთი) ხმა;
2. ფედერაციის საერთო კრებაზე (ყრილობაზე) სსცეფ-ს წევრს წარმოადგენს ამ წევრის უფლებამოსილი დელეგატი. მხოლოდ ყრილობაზე წარმოდგენილ დელეგატებს აქვთ ხმის მიცემის უფლება.

მუხლი 14. უფლებამოსილებათა ფარგლები

ფედერაციის საერთო კრებას (ყრილობას) გააჩნია შემდეგი უფლებები:

1. სსცეფ-ს წესდებისა და მისი გამოყენების მარეგულირებელი დებულებების და საერთო კრების (ყრილობის) რეგლამენტის დამტკიცება და მათში ცვლილებების შეტანა;
2. ოქმის შესამოწმებლად და დასამტკიცებლად სამი წევრის დანიშვნა;
3. სსცეფ-ს პრეზიდენტის და გამგეობის (პრეზიდიუმის) წევრების არჩევა;
4. დამკვირვებლების დანიშვნა;
5. ფინანსური ანგარიშის დამტკიცება;
6. ბიუჯეტის დამტკიცება;
7. სამოქმედო ანგარიშის დამტკიცება;
8. სსცეფ-ს გამგეობის (პრეზიდიუმის) მიერ წარდგენილი დამოუკიდებელი აუდიტორის დანიშვნა, ან სსცეფ-ს სარევიზიო კომისიის არჩევა;
9. საწევრო შენატანების განსაზღვრა;
10. სსცეფ-ს გამგეობის (პრეზიდიუმის) მიერ წარდგენილი საპატიო პრეზიდენტის და საპატიო წევრის წოდებების მინიჭება;
11. წევრის გარიცხვა;
12. სსცეფ-ს რომელიმე ორგანოს ერთი ან მეტი წევრისათვის მანდატის ჩამორთმევა;
13. სსცეფ-ს ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია;

მუხლი 15. საერთო კრების (ყრილობის) ქვორუმი

1. საერთო კრება (ყრილობა) უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ მას ესწრება ხმის მიცემის უფლების მქონე წევრთა უბრალო უმრავლესობა (50% + 1);
2. თუ ქვორუმი არ იქნება მიღწეული, საერთო კრება (ყრილობა) გადაიდება 24 საათით, იგივე დღის წესრიგით;
3. გადადებულ ყრილობაზე ქვორუმი არ მოითხოვება, თუ დღის წესრიგში შეტანილი არაა საკითხი სსცეფ-ს წესდებაში ცვლილებების შეტანის, პრეზიდენტის და გამგეობის (პრეზიდიუმის) არჩევის, სსცეფ-ს ორგანოს ერთი ან მეტი წევრის გათავისუფლების, სსცეფ-ს წევრთა გარიცხვის ან სსცეფ-ს ლიკვიდაციის/რეორგანიზაციის შესახებ;

მუხლი 16. საერთო კრების (ყრილობის) გადაწყვეტილებები

1. თუ წინამდებარე წესდებით სხვაგვარად არ დადგინდება, გადაწყვეტილებები მიიღება ხმის მიცემის უფლების მქონე წევრთა უმრავლესობით. დათვლილი ხმების რიცხვი გადაწყვეტს უმრავლესობას. არასწორად შევსებული ან შეუვსებელი საარჩევნო ბიულეტენები უგულებელყოფილი იქნება;
2. ყველა გადაწყვეტილება, რომელიც მოითხოვს კენჭისყრას, უნდა იქნეს მიღებული ხელის (ან მანდატის) აწევით. იმ შემთხვევაში, თუ ხელის აწევით არ გამოიკვეთა წინადადების სასარგებლოდ აშკარა უმრავლესობა, წევრების გამოძახება მოხდება ანბანის მიხედვით ან ხმებს დაითვლის ხმების დამთვლელი კომისია;

მუხლი 17. არჩევნები

1. არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით;
2. ასარჩევი პიროვნებისათვის კენჭისყრის პირველ ტურში (თუ არჩევანი კეთდება ორ კანდიდატს შორის), საჭიროა ხმის უფლების მქონე პირთა უბრალო უმრავლესობა (50% + 1);
3. თუ ერთ ადგილზე ორ კანდიდატზე მეტია, მაშინ ის კანდიდატი, რომელსაც ხმათა ყველაზე ნაკლები რაოდენობა აქვს, ამოღებული იქნება შემდეგი ტურიდან და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ საბოლოოდ 2 კანდიდატი არ დარჩება;

მუხლი 18. რიგითი საერთო კრება (ყრილობა)

1. რიგითი საერთო კრება (ყრილობა) გაიმართება ყოველწლიურად;
2. სსცეფ-ს გამგეობა (პრეზიდენტი) ადგენს რიგითი საერთო კრების (ყრილობის) ჩატარების დროს და ადგილს. წევრებს საერთო კრებაზე (ყრილობაზე) მოწვევის წერილობითი შეტყობინება ეგზავნებათ (ელ-ფოსტით) საერთო კრების (ყრილობის) ჩატარების თარიღამდე სულ მცირე 30 დღით ადრე;
3. სსცეფ-ს საერთო კრების (ყრილობის) ჩატარებამდე სულ მცირე 20 დღით ადრე წევრებს ეგზავნებათ წერილობითი შეტყობინება (ელ-ფოსტით), რომელიც უნდა მოიცავდეს საერთო კრების (ყრილობის) დღის წესრიგს, პრეზიდენტის სამოქმედო ანგარიშს, ფინანსურ ანგარიშს და სხვა საჭირო დოკუმენტაციას;
4. რიგითი საერთო კრების (ყრილობის) დღის წესრიგი შეიცავს შემდეგ სავალდებულო საკითხებსა და დოკუმენტაციას:
 1. განაცხადი იმის შესახებ, რომ საერთო კრება (ყრილობა) მოწვეულია სსცეფ-ს წესდების შესაბამისად;
 2. დღის წესრიგის დამტკიცება;
 3. პრეზიდენტის მოხსენება;
 4. სამი წევრის დანიშვნა ოქმის შესამოწმებლად;
 5. დამკვირვებლების დანიშვნა;

6. წევრის გარიცხვა (თუკი ასეთი საჭიროება არსებობს);
7. წინა საერთო კრების (ყრილობის) ოქმის დამტკიცება;
8. წინა საერთო კრების (ყრილობის) შემდეგ გაწეული საქმიანობის ანგარიში;
9. კონსოლიდირებული და შემოწმებული საბუღალტრო ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიშები;
10. ფინანსური ანგარიშის დამტკიცება;
11. ბიუჯეტის დამტკიცება;
12. საწევრო გადასახადი;
13. სსცეფ-ს წესდებაში, მის მარეგულირებელ დებულებებში და საერთო კრების (ყრილობის) რეგლამენტში ცვლილებების შეტანის წინადადებებზე კენჭისყრა (თუკი ასეთი საჭიროება არსებობს);
14. სსცეფ-ს წევრების და გამგეობის (პრეზიდიუმის) წინადადებების განხილვა;
15. დამოუკიდებელი აუდიტორის დანიშვნა;
16. პრეზიდენტის და გამგეობის (პრეზიდიუმის) წევრთა არჩევა (თუკი ასეთი საჭიროება არსებობს);
17. სსცეფ-ს წევრების და გამგეობის (პრეზიდიუმის) მიერ წარმოდგენილი სხვა საკითხების განხილვა;

5. რიგითი საერთო კრების (ყრილობის) დღის წესრიგი შეიძლება შეიცვალოს იმ შემთხვევაში თუ ყრილობის დამსწრე წევრების 2/3 ეთანხმება ამ ცვლილებას;

6. საერთო კრებას (ყრილობას) არ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საკითხზე, რომელიც არ არის შეტანილი დღის წესრიგში.

მუხლი 19. რიგგარეშე საერთო კრება (ყრილობა)

1. სსცეფ-ს გამგეობას (პრეზიდიუმს) შეუძლია მოიწვიოს რიგგარეშე საერთო კრება (ყრილობა), თუკი დადგება პრეზიდენტის და გამგეობის (პრეზიდიუმის) წევრთა რიგგარეშე არჩევნების საკითხი;

2. სსცეფ-ს ყველა წევრის არანაკლებ ორი მესამედის 2/3 მოთხოვნის საფუძველზე, რაც წერილობით სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული, სსცეფ-ს გამგეობა (პრეზიდიუმი) ვალდებულია მოიწვიოს რიგგარეშე საერთო კრება (ყრილობა) ასეთი მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში;

3. რიგგარეშე საერთო კრების (ყრილობის) ჩატარების თარიღი, ადგილი, დრო და დღის წესრიგი წევრებს გაეგზავნებათ, რიგგარეშე საერთო კრების (ყრილობის) ჩატარებამდე სულ მცირე ერთი თვით ადრე;

მუხლი 20. წესდებაში ცვლილებები

1. სსცეფ-ს წესდებაში, მისი გამოყენების მარეგულირებელ დებულებებში და ყრილობის რეგლამენტში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ყრილობაზე;

2. სსცეფ-ს წესდებაში ცვლილებების შესატანად სავალდებულოა ყრილობაზე წევრთა უბრალო უმრავლესობის (50% + 1) დასწრება;

3. წესდებაში ცვლილებების შეტანის წინადადება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, თუ მას მხარს უჭერს ხმის უფლების მქონე დამსწრე წევრთა 2/3 მაინც;
4. ნებისმიერი სახის ცვლილება, რომელიც ეხება წესდების გამოყენების მარეგულირებელ დებულებებს და ყრილობის რეგლამენტს, წარმოდგენილ უნდა იქნეს სსცეფ-ს გამგეობაში წერილობით, სსცეფ-ს მინიმუმ 3 წევრის მიერ;
5. წესდების გამოყენების მარეგულირებელ დებულებებში და ყრილობის რეგლამენტში ცვლილებებს ესაჭიროება სსცეფ-ს წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობა.
6. ნებისმიერი სახის ცვლილება წესდებაში წარმოადგენს სარეგისტრაციო ფაქტს და სსცეფ-ს გამგეობა ვალდებულია უზრუნველყოს სარეგისტრაციო ფაქტების წარდგენა დამოწმებული სახით - ფედერაციის მარეგისტრირებული ორგანოსთვის;
7. კეთილსინდისიერი მესამე პირების მიმართ ნებისმიერი სარეგისტრაციო ფაქტი ძალმოსილია მხოლოდ მისი რეგისტრაციის მომენტიდან;

მუხლი 21. ოქმი

ყრილობის ოქმის შედგენაზე პასუხიმგებელია სსცეფ-ს გენერალური მდივანი. შედგენილი ოქმის სისწორე მოწმდება გამგეობის (პრეზიდიუმის) მიერ და მტკიცდება მომდევნო საერთო კრებაზე (ყრილობაზე).

მუხლი 22. გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი

საერთო კრებაზე (ყრილობაზე) მიღებული გადაწყვეტილებები ძალაში შედის საერთო კრების (ყრილობის) დასრულებისთანავე, თუ საერთო კრება (ყრილობა) არ განსაზღვრავს სხვა თარიღს.

ბ. გამგეობა (პრეზიდიუმი)

მუხლი 23. გამგეობა (პრეზიდიუმი)

1. სსცეფ-ს გამგეობა (პრეზიდიუმი) შედგება 11 წევრისაგან:

- | | | |
|----------------------------------|---------------------|---------------------|
| 1. პრეზიდენტი | - გიორგი გაჩეჩილაძე | (პ/ნ 01031004544); |
| 2. ვიცე-პრეზიდენტი | - ივანე კანდელაკი | (პ/ნ 01007004141); |
| 3. გენერალური მდივანი | - გიგა გაბუნია | (პ/ნ 60001105410); |
| 4. გამგეობის (პრეზიდიუმის) წევრი | - ლევან ახვლედიანი | (პ/ნ 01002019565); |
| 5. გამგეობის (პრეზიდიუმის) წევრი | - რაფაელ ანანიკიანი | (პ/ნ 01001014285); |
| 6. გამგეობის (პრეზიდიუმის) წევრი | - ლეილა ჩქარეული | (პ/ნ 501024025284); |

- | | | |
|---|---------------------|--------------------|
| 7. გამგეობის (პრეზიდენტის) წევრი | - ნინო ქავჭავაძე | (პ/ნ 61001002898); |
| 8. გამგეობის (პრეზიდენტის) წევრი | - ალექო ბუხაიძე | (პ/ნ 60002015461); |
| 9. გამგეობის (პრეზიდენტის) წევრი | - რამაზ ლაზარიშვილი | (პ/ნ 01019065504); |
| 10. გამგეობის (პრეზიდენტის) წევრი | - ლარისა გაჩეჩილაძე | (პ/ნ 01001001394); |
| 11. გამგეობის (პრეზიდენტის) წევრი
საპატიო პრეზიდენტი | - თენგიზ გაჩეჩილაძე | (პ/ნ 01020000346); |

2. სსცეფ-ს პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და გამგეობის (პრეზიდენტის) სხვა წევრები აირჩევიან საერთო კრების (ყრილობის) მიერ ინდივიდუალურად. თითოეული კანდიდატი უნდა იქნეს წარდგენილი მინიმუმ ერთი წევრის მიერ. გამგეობის (პრეზიდენტის) წევრთა მანდატი იწყება იმ ყრილობის დასრულების შემდეგ, რომელზეც აირჩა და გრძელდება ოთხ წელიწადს, მომავალ საარჩევნო ყრილობამდე. ისინი შეიძლება ხელახლა იქნენ არჩეული ახალი ვადით;

3. სსცეფ-ს გამგეობაში (პრეზიდენტში) თუ თანამდებობა ხდება ვაკანტური, გამგეობამ (პრეზიდენტმა) უნდა შეავსოს იგი მომდევნო რიგით საერთო კრებამდე (ყრილობამდე). შემცვლელი აირჩევა მანდატის დარჩენილი ვადით;

მუხლი 24. სხდომები

1. სსცეფ-ს გამგეობის (პრეზიდენტის) სხდომები ტარდება არანაკლებ ოთხჯერ წელიწადში;
2. სსცეფ-ს გამგეობის (პრეზიდენტის) სხდომებს იწვევს სსცეფ-ს პრეზიდენტი. თუ გამგეობის (პრეზიდენტის) სულ მცირე 3 წევრი მოითხოვს სხდომის ჩატარებას, პრეზიდენტი ვალდებულია დანიშნოს სხდომა 21 დღის განმავლობაში;
3. სსცეფ-ს გენერალური მდივანი ესწრება გამგეობის (პრეზიდენტის) ყველა სხდომას და ადგენს სხდომის ოქმს;
4. სსცეფ-ს გამგეობის (პრეზიდენტის) სხდომები არ ტარდება საჯაროდ. თუმცა გამგეობას (პრეზიდენტს) შეუძლია სხდომაზე დასასწრებად მოიწვიოს მესამე მხარეები, მაგრამ მათ არ ექნებათ ხმის მიცემის უფლება და შეეძლება მხოლოდ აზრის გამოხატვა გამგეობის (პრეზიდენტის) ნებართვით.

მუხლი 25. ფედერაციის გამგეობის (პრეზიდენტის) უფლებამოსილება

ფედერაციის გამგეობა (პრეზიდენტი) უფლებამოსილია:

1. მიიღოს გადაწყვეტილება ყველა იმ საკითხზე, რომელიც არ შედის საერთო კრების (ყრილობის) კომპეტენციაში, ან არ ევალუაბა სხვა ორგანოებს კანონით, ან ამ წესდების მიხედვით;
2. მოიწვიოს სსცეფ-ს რიგითი და რიგგარეშე საერთო კრებები (ყრილობები);

3. დანიშნოს სსცეფ-ს მუდმივმოქმედი კომიტეტების თავმჯდომარეები, მოადგილეები და წევრები (თუკი ასეთი საჭიროება არსებობს);
4. დანიშნოს იურიდიული ორგანოების თავმჯდომარეები, მოადგილეები და წევრები (თუკი ასეთი საჭიროება არსებობს);
5. საჭიროების შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება სპეციალური ან დროებითი კომიტეტების შექმნის შესახებ;
6. დაადგინოს წესები მუდმივმოქმედი და დროებითი კომიტეტების ორგანიზაციისთვის;
7. შესთავაზოს საერთო კრებას (ყრილობას) დამოუკიდებელი აუდიტორები ან დანიშნოს სსცეფ-ს მუდმივმოქმედი სარევიზიო საბჭო;
8. დაადგინოს სსცეფ-ს შეჯიბრებების ადგილი და დრო (კალენდარი);
9. დანიშნოს ეროვნული ნაკრები გუნდების მწვრთნელები;
10. დაამტკიცოს დებულებები, სადაც განსაზღვრულია თუ როგორ უნდა მოხდეს სსცეფ-ს ორგანიზება შიდა განაწესით;
11. უზრუნველყოს წესდების დებულებების განსახორციელებლად საჭირო სააღმსრულებლო ღონისძიებების გატარება;
12. გაათავისუფლოს გამგეობის წევრი, მომდევნო საერთო კრებამდე (ყრილობამდე), თუკი ამ წევრის მიმართ აღმრულია სისხლის სამართლებრივი დევნა;
13. გაანაწილოს დავალებები სსცეფ-ს სხვა ორგანოებზე ან მესამე მხარეებზე, მათი უფლებამოსილების ფარგლებიდან გამომდინარე.

მუხლი 26. გადაწყვეტილებები

1. სსცეფ-ს გამგეობას (პრეზიდიუმს) არა აქვს უფლება გამართოს ოფიციალური განხილვები და მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ სხდომას არ ესწრება წევრთა უბრალო უმრავლესობა (50% + 1);
2. სსცეფ-ს გამგეობა (პრეზიდიუმი) გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით. თანაბარი ხმების შემთხვევაში გადაწყვეტია პრეზიდენტის ხმა. წერილობით ხმის მიცემა არ არის დაშვებული;
3. სსცეფ-ს გამგეობის (პრეზიდიუმის) ნებისმიერ წევრს შეიძლება აეკრძალოს დებატებში მონაწილეობა, თუ არსებობს ამ წევრის სსცეფ-ს ნებისმიერ წევრთან მიმართებაში ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შესაძლებლობა ან რისკი;
4. სსცეფ-ს გამგეობის (პრეზიდიუმის) გადაწყვეტილებები აისახება სხდომის ოქმში;
5. სსცეფ-ს გამგეობის (პრეზიდიუმის) გადაწყვეტილებები ძალაში შედის მიღებისთანავე, თუკი გამგეობა (პრეზიდიუმი) სხვაგვარად არ განსაზღვრავს.

გ. პრეზიდენტი

მუხლი 27. პრეზიდენტი

1. სსცეფ-ს პრეზიდენტი არის სსცეფ-ს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი;

2. სსცეფ-ს პრეზიდენტის უშუალო მოვალეობებს წარმოადგენს:
 1. საერთო კრების (ყრილობის) და გამგეობის (პრეზიდენტი) მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელება;
 2. სსცეფ-ს ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა საწესდებო ამოცანების შესრულების მიზნით;
 3. სსცეფ-ს ურთიერთობების ჩამოყალიბება მის წევრებთან, WDSF-თან, სახელმწიფო და სხვა ორგანიზაციებთან;
3. საერთო კრებას (ყრილობას) თავმჯდომარეობს პრეზიდენტი, ან მისი წარდგინებით, საერთო კრების (ყრილობის) მიერ არჩეული გამგეობის (პრეზიდენტი) ერთ-ერთი წევრი;
4. გამგეობის (პრეზიდენტი) სხდომებს თავმჯდომარეობს პრეზიდენტი;
5. სსცეფ-ს გამგეობაში (პრეზიდენტი) პრეზიდენტს გააჩნია ჩვეულებრივი ერთი ხმა, ხოლო თანაბარი ხმების შემთხვევაში, მას აქვს გადაწყვეტი ხმა;
6. პრეზიდენტის არყოფნის ან სხდომაზე დაუსწრებლობის შემთხვევაში, მის მოვალეობას შეასრულებს ვიცე-პრეზიდენტი;
7. პრეზიდენტის ყველა სხვა დამატებითი უფლებამოსილებანი შესულია სსცეფ-ს შიდა საორგანიზაციო წესებში;

მუხლი 28. პრეზიდენტობის კანდიდატები

1. პრეზიდენტს ირჩევს ყრილობა ოთხი წლის ვადით. მისი უფლებამოსილება იწყება ყრილობაზე კენჭისყრის შედეგების გამოცხადების შემდეგ. მოქმედმა პრეზიდენტმა შეიძლება ამ თანამდებობაზე ხელახლა იყაროს კენჭი;
2. პირველ ტურში სსცეფ-ს პრეზიდენტის ასარჩევად საჭიროა ხმის უფლების მქონე პირთა უბრალო უმრავლესობა (50% + 1). თუ ორზე მეტი კანდიდატი იღებს არჩევნებში მონაწილეობას, ყოველი ტურის შემდეგ კანდიდატი, რომელსაც ექნება ხმების ყველაზე ნაკლები რაოდენობა, ამოღებული იქნება შემდეგი ტურიდან მანამ, სანამ არ დარჩება ორი კანდიდატი. თუ ორ ან მეტ კანდიდატს ხმათა თანაბარი რაოდენობა ექნებათ, უნდა ჩატარდეს შემდეგი ტური, რათა გაირკვეს, თუ რომელი კანდიდატი გამოეთიშება;
3. სსცეფ-ს პრეზიდენტობაზე კანდიდატურების წარდგენა შეუძლიათ მხოლოდ სსცეფ-ს წევრებს. საერთო კრების (ყრილობის) თარიღამდე სულ ცოტა 25 დღით ადრე სსცეფ-ს წევრებმა გამგეობაში წერილობით უნდა წარადგინონ სსცეფ-ს პრეზიდენტობის კანდიდატურა;
4. სსცეფ-ს გენერალურმა მდივანმა წევრებს უნდა გაუგზავნოს პრეზიდენტობის კანდიდატთა სია, ყრილობის თარიღამდე 20 დღით ადრე;
5. სსცეფ-ს პრეზიდენტის თანამდებობაზე კანდიდატი შეიძლება იყოს სსცეფ-ს წევრის მიერ წარდგენილი 18-დან 70 წლამდე პიროვნება, რომელიც წერილობითი ფორმით დაადასტურებს, რომ აღიარებს სსცეფ-ს, WDSF-ის, წესდებებს, დებულებებს და

გადაწყვეტილებებს და წარმოადგენს სამოქმედო პროგრამას. ის უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, აქტიურად ჩართული სპორტული ცეკვების საქმიანობაში და არ უნდა იყოს ნასამართლევია.

6. თუ სსცეფ-ს პრეზიდენტს ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ შეუძლია თავისი ფუნქციების შესრულება, სსცეფ-ს გამგეობა (პრეზიდიუმი) ვალდებულია ჩაატაროს საერთო კრება (ყრილობა), რომელზეც აირჩევა ახალი პრეზიდენტი. საერთო კრებამდე (ყრილობამდე) დარჩენილ პერიოდში პრეზიდენტის მოვალეობას შეასრულებს ვიცე-პრეზიდენტი.

მუხლი 29. წარმომადგენლობა და ხელმოწერა

ფედერაციის მესამე პირებთან წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებს სსცეფ-ს პრეზიდენტი. მისი უფლებამოსილება იწყება არჩევის მომენტიდან და გრძელდება ახალი პრეზიდენტის არჩევამდე;

სსცეფ-ს პრეზიდენტი წარმომადგენლობით უფლებამოსილებას განახორციელებს ერთპიროვნულად.

თავი IV. დავები, დოპინგი

მუხლი 30. დავები

1. სსცეფ-ს წევრები, ათლეტები, მოცეკვავე წყვილები, მწვრთნელები, მსაჯები და სხვა ოფიციალური პირები სხვადასხვა საკითხების მოსაგვარებლად, ან ნებისმიერი უთანხმოების განსახილველად ვალდებული არიან პირველ რიგში აღნიშნული საკითხი ან დავა განიხილონ სსცეფ-ს გამგეობასთან (პრეზიდიუმთან) ერთად; ხოლო შეთანხმების ვერ მიღწევის შემთხვევაში მათ შეუძლიათ მიმართონ საერთო (ჩვეულებრივ) / სამოქალაქო სასამართლოს;

მუხლი 31. დოპინგი

1. სსცეფ მოწოდებული იქნება დოპინგის წინააღმდეგ საბრძოლველად, რათა დაიცვას სპორტული ეთიკის ნორმები და მოცეკვავე ათლეტთა ფიზიკური ჯანმრთელობა და მენტალური მთლიანობა და უზრუნველყოს სპორტულ შეჯიბრში ყველა მონაწილის თანაბარი შანსი;

2. სსცეფ იმოქმედებს დოპინგის კონტროლის დებულებების, საქართველოს ანტი-დოპინგ სააგენტოს - GADA-ს და WDSF-ის ანტი-დოპინგ კოდექსებში მოცემული პირობების შესაბამისად;

3. სსცეფ დაუყოვნებლივ წარუდგენს WDSF-ს და მსოფლიო ანტი-დოპინგის სააგენტოს (WADA-ს) დოპინგთან დაკავშირებული ნებისმიერი საბოლოო გადაწყვეტილების ასლს, WDSF-ს ოფიციალურ ენაზე;

თავი V. ფინანსები

მუხლი 32. ფინანსები

1. სსცეფ-ს ფინანსური პერიოდი შეადგენს ერთ წელს. იგი იწყება 1 იანვარს და მთავრდება 31 დეკემბერს;
2. სსცეფ-ს შემოსავლები და ხარჯები უნდა იმართებოდეს ისე, რომ შესაბამისობაში მოდიოდეს ფინანსურ პერიოდთან;
3. სსცეფ-ს გენერალური მდივანი პასუხისმგებელია სსცეფ-ს ყოველწლიური გაერთიანებული ანგარიშის შედგენაზე მის შვილობილ კომპანიებთან ერთად (თუკი ასეთი არსებობს) 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მუხლი 33. შემოსავლები

ფედერაციის შემოსავლების წყაროებია:

1. წევრთა ყოველწლიური საწევროები;
2. ნებისმიერი სახის უფლებათა გამოყენებისგან მიღებული შემოსავლები;
3. სსცეფ-ს უფლებამოსილი ორგანოების მიერ დაწესებული ჯარიმები;
4. WDSF-ს ან სხვა საერთაშორისო, არასამთავრობო ორგანიზაციების გრანტები;
5. კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები (თუკი ასეთი არსებობს);
6. სსცეფ-ს მიზნების განხორციელებისათვის საჭირო სხვა შენატანები, მათ შორის სახელმწიფოდან მიღებული სუბსიდიები;

მუხლი 34. ხარჯები

ფედერაციის ხარჯებია:

1. საბიუჯეტო გადასახადები;
2. საერთო კრების (ყრილობის) მიერ დამკვიცებული ხარჯები, აგრეთვე ხარჯები, რომელთა გაწევის უფლება აქვს გამგეობას (პრეზიდიუმს), საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
3. ყველა სხვა ხარჯი, რაც აუცილებელია სსცეფ-ს მიზნების და ამოცანების შესასრულებლად;

მუხლი 35. დამოუკიდებელი აუდიტორები, ფედერაციის სარევიზიო კომისია

საერთო კრების (ყრილობის) მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი ან ფედერაციის სარევიზიო კომისია მოახდენს გამგეობის (პრეზიდიუმის) მიერ დამტკიცებული ანგარიშების აუდიტს, საბუღალტრო წესების შესაბამისად და საერთო კრებას (ყრილობას) წარუდგენს მოხსენებას. აუდიტორები ინიშნებიან ყოველწლიურად საერთო კრების (ყრილობის) მიერ. აუდიტორის უფლებამოსილებათა ვადა შეიძლება განახლდეს. ხოლო ფედერაციის სარევიზიო კომისია (2 წევრის შმადგენლობით) ინიშნება 4 წლის ვადით ასევე საერთო კრების (ყრილობის) მიერ.

მუხლი 36. საწევრო შენატანები

1. მიმდინარე წლის საწევრო შენატანის გადახდა სავალდებულოა ყოველი წლის 31 იანვრამდე. ყოველწლიური საწევრო შენატანი ახალი წევრებისთვის გადახდილი უნდა იყოს გამგეობის (პრეზიდიუმის) იმ სხდომის დამთავრებიდან 30 დღის განმავლობაში, რომელზეც ისინი მიიღეს სსცეფ-ს წევრად;
2. საერთო კრება (ყრილობა) განსაზღვრავს ყოველწლიური შენატანის ოდენობას;

თავი VI. შეჯიბრებები და უფლებები

მუხლი 37. შეჯიბრებები

1. სსცეფ უფლებამოსილია ორგანიზება და კოორდინაცია გაუწიოს მის ტერიტორიაზე გამართულ შემდეგ ოფიციალურ შეჯიბრებს:
 1. საქართველოს ჩემპიონატს ყველა ქვეჯგუფში და კლასში;
 2. საქართველოს თასს;
 3. მოყვარულ და პროფესიონალ მოცეკვავეთა შეჯიბრებებს;
 4. WDSF-ის ლიცენზიით საქართველოში ჩატარებულ საერთაშორისო შეჯიბრებებს;
2. სსცეფ-ს გამგეობა (პრეზიდიუმი) თავის წევრებს გადასცემს 37.1 მუხლში აღნიშნული შეჯიბრებების ორგანიზების ლიცენზიას, სსცეფ-ს მიერ დადგენილი დებულების საფუძველზე;
3. სსცეფ არ ჩაატარებს საერთაშორისო შეჯიბრებებს და არ დაამყარებს სპორტულ კონტაქტებს ფედერაციებთან ან ასოციაციებთან, რომლებიც არ არიან WDSF-ის წევრები. ასევე არ მოიწვევს მოცეკვავეებს, ათლეტებს და მსაჯებს იმ კლუბებიდან, რომლებიც არ ეკუთვნიან შესაბამის ქვეყანაში WDSF-ის წევრ ფედერაციაში (ასოციაციაში) გაწევრიანებულ სპორტულ კლუბს;

მუხლი 38. უფლებები

1. სსცეფ არის პირველადი მფლობელები ყველა უფლების, შესაბამისი იურისდიქციის ფარგლებში სპორტულ ცეკვებთან დაკავშირებულ შეჯიბრებებსა და სხვა ღონისძიებებთან, შინაარსის, დროის, ადგილისა და კანონის ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. ეს უფლებები სხვასთან ერთად მოიცავს, ყველანაირი სახის ფინანსურ უფლებებს, აუდიო და რადიო ჩანაწერებს, რეპროდუქციის და მაუწყებლობის უფლებებს, გამოყენებული ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების უფლებებს, მარკეტინგისა და სარეკლამო უფლებებს, არამატერიალურ უფლებებს, როგორცაა ემბლემები და უფლებები, რომლებიც წარმოიქმნება საავტორო უფლების შესახებ კანონის ფარგლებში;
2. სსცეფ-ს გამგეობა (პრეზიდიუმი) იღებს გადაწყვეტილებას, თუ როგორ და რა მასშტაბით გამოიყენოს ეს უფლებები და შეიმუშაოს სპეციალური წესები ამისათვის. გამგეობა (პრეზიდიუმი) გადაწყვეტს ეს უფლებები ექსკლუზიურად იქნება გამოყენებული თუ მესამე მხარესთან ერთობლიობაში ან მთლიანად მესამე მხარის საშუალებით.

3. სსცეფ-ს გამგეობას (პრეზიდიუმს) შეუძლია მიანიჭოს შეჯიბრებების და სსცეფ-ს სხვა ღონისძიებების გამოსახულების, ხმისა და საინფორმაციო მონაცემების გავრცელების უფლებამოსილება თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შინაარსის, დროის, ადგილის, ტექნიკური და უფლებრივი შეზღუდვის გარეშე.

თავი VII. საბოლოო დებულებები

მუხლი 39. ფედერაციის ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

1. სსცეფ-ს ლიკვიდაცია/რეორგანიზაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება საჭიროებს სსცეფ-ს ყველა წევრის 2/3-ის დასწრებას საერთო კრებაზე (ყრილობაზე), რომელიც სპეციალურად ამ მიზნით იქნება მოწვეული;
2. სსცეფ-ს ლიკვიდაციის (გაუქმების) შემთხვევაში, საერთო კრებამ (ყრილობამ) უნდა მიიღოს გადაწყვეტილება აქტივების განკარგვაზე ხმათა 2/3-ის საფუძველზე;
3. ინფორმაცია ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს. ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. ლიკვიდაციის/რეორგანიზაციის დროს უნდა დამთავრდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში და დაკმაყოფილდნენ კრედიტორები;

მუხლი 40. დასკვნითი დებულებები

1. თუ ნებისმიერი მიზეზით ბათილად გამოცხადდა წინამდებარე წესდების ერთი ან მეტი დებულება, ეს არ გამოიწვევს მთლიანად წესდების ბათილობას. ასეთ შემთხვევაში დანარჩენი დებულებები ძალაში რჩება ბათილი დებულებების გარეშე;
2. სსცეფ-ს გამგეობა (პრეზიდიუმი) მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ნებისმიერ საკითხზე, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესდებაში და ფორს მაჟორის შემთხვევებში;
3. წინამდებარე წესდება ახალი რედაქციით მიღებულ იქნა სსცეფ-ს საერთო კრებაზე (ყრილობაზე) 2014 წლის 09 თებერვალს და ძალაში შევა მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ;

ფედერაციის პრეზიდენტი,

გიორგი გაჩეჩილაძე

ქ. თბილისი
2014 წლის 09 თებერვალი